

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფი

შეხვედრის ოქმი №1

2009 წლის 2 დეკემბერი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

- ვახტანგ ბალავაძე - საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
- გურამ ჩახვაძე - საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
- ირაკლი ქავთარაძე - საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
- გიორგი გოდაბრელიძე - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი
- დავით აზმაიფარაშვილი - საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროსი
- შორენა კახიძე - პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
- დავით ოზოლაძე - პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი
- მერაბ ჯულაყიძე - საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი
- ეკა უდესიანი - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
- კახა კობხრიძე - ცენტრი „სოლიდარობა“
- ბელა გუტიძე - გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე
- რევაზ საყვეარიშვილი - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი
- ემზარ ჯგერენაია - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
- დავით ნარმანია - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი

დღის წესრიგი

- ჯგუფის დებულება და თავმჯდომარის წარდგენა
- წინა შეხვედრებზე განხილული საკითხების შეჯამება
- ჯგუფის სამომავლო გეგმებისა და შესაძლო საკითხების განსაზღვრა
- ჩვილ ბაშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის იმპორტირებული ნაწარმის დღგ-სგან განთავისუფლების საკითხი
- სხვა საკითხები

შეხვერა გახსნა ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის თავმჯდომარემ ბატონმა არჩილ ბაკურაძემ, დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები. შეხვედრის დასაწყისში ბატონმა არჩილმა ოფიციალურად წარადგინა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, ბატონი ვახტანგ ბალავაძე. ასევე გააკეთა სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ამსახველი მოკლე პრეზენტაცია.

არჩილ ბაკურაძემ მოკლედ ისაუბრა ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის საქმიანობის შესახებ, სტუმრებს გააცნო საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ჯგუფის მონაწილეები, განმარტა მიზანი, დებულება და მოსალოდნელი შედეგები, ასევე შეეხო საქმიანობის მექანიზმს.

წინა შეხვერებიდან გამომდინარე, ცენტრმა მოამზადა მომავალში განსახილველი 15 საკითხი. საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ჯგუფმა განიხილა თითოეული მათგანი - გამოთქვეს მოსაზრებები, განსაზღვრეს მათი აქტუალობა და მოსალოდნელი შედეგები. პრეზენტაციის დროს, საკითხებში უკეთ გარკვევის მიზნით, ექსპერტებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, რამაც ჯგუფს გაუადვილა საკითხების განსაზღვრა.

საერთო სიიდან შეირჩას შემდეგი თემები:

- ორაზროვანი მუხლების იდენტიფიცირება, მათ შორის საგადასახადო პოზიციის სარეკომენდაციო ხასიათი; დუმილი უარის ნიშანი;
- შემთხვევების (case) განხილვა საკანონმდებლო ჭრილში;
- მცირე მეწარმეთა მიერ ანგარიშგება და გადამხდელთა ინფორმირება;
- საჯარიმო პოლიტიკა: შეცდომისა და დანაშაულის გამიჯვნა, თანამშრომლების სტიმულირება;
- დავების მექანიზმის დახვეწა - საბანკო გარანტია, დაყადაღება, ვადები, საბჭო;
- დ.ღ.გ.-ს დეკლარირება და დაბრუნება;
- გადასახადის გადამხდელის განათლება და შემოსავლების სამსახურის გამჭვირვალობა;
- სასაქონლო ნომენკლატურა და სტანდარტები (კოდები და სუბ-კოდები);
- საგადასახადო კოდექსში დანაკარგების ხარჯებად აღიარება;
- კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების „გაწმენდის“ ინიციატივა.

საგადასახადო და საბაჟო ჯგუფის თავმჯდომარემ, ბატონმა ვახტანგ ბალავაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა ამ საკითხების განხილვის აუცილებლობა და ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრს შესთავაზა ერთობლივად შეადგინონ ზემოდაღნიშნულ საკითხებზე მუშაობის განრიგი. დეპუტატებმა, ექსპერტებმა და პარლამენტის თანამშრომლებმა მხარი დაუჭირეს თავმჯდომარის შემოთავაზებას და მზადყოფნა გამოხატეს აქტიურად ჩაერთონ ჯგუფის მუშაობაში.

შეხვედრის მესამე ნაწილში საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ჯგუფმა განიხილა კონკრეტული შემთხვევა. ბრიტანული კომპანია “Tomme Tippee” დაკავებულია ბავშვთა მოვლისა და ჰიგიენის საშუალებების საქართველოში იმპორტით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების თანახმად, პროდუქცია განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან (დ.დ.გ.), მაგრამ საბაჟოზე მათი საქონელი მაინც იბეგრება. განმარტებისთვის კომპანიის წარმომადგენლებმა მიმართეს ჯანდაცვის სამინისტროს და მიიღეს დასტური, რომ აღნიშნული საქონელი ნამდვილად განთავისუფლებულია დ.დ.გ-სგან. საკითხში გარკვევის მიზნით, კომპანიის წარმომადგენლებმა დახმარება სთხოვეს ჯგუფის წევრებს. დეპუტატებმა და ექსპერტებმა განუმარტეს, რომ კანონმდებლობის კუთხით ამ საკითხზე პრობლემა არ არსებობს: საგადასახადო და საბაჟო კოდექსში ყველაფერი ზედმიწევნით არის გათვალისწინებული, მაგრამ სამწუხაროდ რეალობაში ვერ ხერხდება ზემოაღნიშნული კანონის სრულყოფილად აღსრულება. ბატონმა გიორგი გოდაბრელიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია პროდუქციაზე სპეციალური კოდეხის მინიჭება და ურჩია საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით მიმართონ ფინანსთა სამინისტროს. ჯგუფის თავმჯდომარემ კომპანიის წარმომადგენლებს დახმარების მიზნით შესთავაზა საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაცია გაუწიონ მათ ფინანსთა სამინისტროში.

დასასრულს მონაწილეებმა შეაჯამეს შეხვედრა და შეთანხმდნენ, დაიწყონ მსჯელობა ზემოაღნიშნული საკითხების ჩამონათვალიდან კონკრეტული თემაზე.